№ 201 25 მიოურგობისთვე, პარასკევი 1866—1867 25 მიოურგობისთვე, პარასკევი № 201

ᲥᲣᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲬᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲣᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სიღოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, ხომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—5 კაპ., ასოამოყრილობა სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 22 ნოემბერს. ინგლისის მმართველობამ მისცა სერბიასწინადადება, რომელშიაც ურჩევს, რომ ᲝᲡმალეთის წინააღმდეგ ომში ნუ მიიღებს მონაწილეობას.

ᲐᲗᲘᲜᲐ, 22 ნოემბერს. სამი აათასი დაიარაღებული ქანდიელები მზათ არიან, რომ ᲝᲡმალეთს ომი გამოუცხადონ. დარწმუნებით ამბობენ, რომ ქანდიელებსა ღა ᲝᲡმალოებს შუ შეტაკება აუცილებელი არისო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 22 ნოემბერს. დეპუტატმა ᲤᲔᲠᲠᲘᲛ, ბიუჯეტის კომისიის სახელობით, გამოაცხადა ნაციონალურს ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ, რომ ეს კომისია არ განიხილავს 1878 წლის ბიუჯეტს და არცერთს სახელმწიფო შემოსავალსა და გასავალს არ დაამტკიცებს, სანამ კანონიერი სამინისტრო, ე. ი. პარლამენტის (სენატის ანუ ნაც. კრების წევრებისაგან) არ იქნება დანიშნულიო.

მუდმივ სენატორებად ამორჩეულნი არიან: ლეგიტიმისტი ᲚᲐᲠᲘᲡᲘ და ბონაპარტისტი ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓ ᲙᲐᲠᲠᲝ.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ინგლისური გაზეთი „Standard“ ამბობს:

„თუ რუსებმა აიღეს ისეთი მაგარი ციხე, როგორც ᲧᲐᲠᲡᲘ, შესაძლებელია მალე ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲪ აიღონ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ᲧᲐᲠᲡᲘᲡ გარნიზონი ახლად დამარცხებული და დაფთხობილი იყო მტრისაგან და ის ჯარი კი, რომელიც ამ ჟამად იმყოფება ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲨᲘ, მოპეტემული ნაწილი სულ ახალი ჯარია და ძველებსაც ცოტა მხნეობა მიეცათ, განსაკუთრებით ᲐᲖᲘᲖᲘᲔᲡ ციხესთან რუსების დამარცხების შემდეგ.

„მაგრამ კიდეც რომ აიღონ რუსებმა ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘ, ამას იმათთვის მაინცა-და-მაინც დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა არ ექმება, რადგან ᲝᲡმალოები მაშინ ტრაპიზონისაკენ დაიწყვეენ, საიდამაც უფრო მალე მოუვათ იმათ ახალი ჯარები, საომარი მასალები და სურსათი.“

—

სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზეთის “Republique Française“-ისა შემდეგ ამბავს იწერება ამ ქალაქიდამ მორიგების თაობაზე:

„პოლიტიკური საქმეების მცოდნე პირები ბევრს ლაპარაკობენ აქ ამ ჟამად რუსეთთან მორიგების თაობაზე. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ საეფტ-ფაშა იქნება ამ საგანზე მოსალაპარაკებლად რუსეთის იმპერატორთან გაგზავნილიო.

„თეითონ მორიგების პირობებზე ამბობენ, რომ ᲝᲡმალეთი შემდეგ პირობებს წარუდგენს რუსებსაო:

„Ა). ᲧᲕᲔᲚᲐ ხალხის ხომალდებს მიეცემა უფლება, რომ თავისუფლად იარონ ᲑᲝᲡᲤᲝᲠᲘᲡᲐ და ᲓᲐᲠᲓᲐᲜᲔᲚᲘᲡ წყლებში;

„Ბ). სამზღვრების გასასწორებელად რუსეთს დაუთმობს ᲝᲡმალეთი მიწას სპარსეთის სამზღვარზე ᲑᲐᲘᲖᲔᲗᲘᲡᲐ და ᲕᲐᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ.

„Გ). ᲝᲡმალეთის მთავრობა აღიარებს ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲘᲡ დამოუკიდებლობას და დაუთმობს იმას ყველა იმ ადგილებს, რომელიც ამ სახელმწიფომ ღაიპყრო ამ ომის განმავალობაში.

„Დ). სულთანი ვალდებული იქნება, რომ სამი წლის განმავალობაში შეასრულოს ყველა ის რეფორმები, რომელნიც ᲝᲡმალეთის კონსტიტუციაში არის მოხსენებული.“

—

ნემეცურს გაზეთს „Presse“-ში იწერებიან, რომ მუხთარ-ფაშამ წაიყვანა ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ ცხენოსანი ჯარი და დააყენა ის ქალაქს მელიშქერობში ამ განზრახვით, რომ აქ ᲕᲐᲜᲘᲡᲐ და მეორე (მთის) ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ გზები შეუკრას რუსებსო.

—

გაზეთის „Daily News“-ის ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲔᲚᲘ კორრესპონდენტი 29 ოქტომბერს იწერება ამ ქალაქიდამ:

„ᲐᲛ ღღეებში გაცნობეთ, რომ, ᲐᲖᲘᲖᲘᲔᲗᲐᲜ მთელი ღღის განმავალობაში ბრძოლის შემდეგ, რუსის ჯარი იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲠᲜᲘ. მას აქეთ რუსის ატრიადებმა შემოუარეს ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ [illegible]ს იმ განზრახვით, რომ ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ შეუკრან მტერს.

„ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ ხალხი თან-და-თან ეჩეევა მტრის გარშემოსევას და ამ უცხო სტუმრების დასახვედრად ემზადება, თუმცა ზოგიერთებს კი ეშინიანთ, რადგან მუდამ წამს მოელიან, რომ რუსები ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲡ ზარბაზნებს დაუშენენ და ქალაქს დააქცევენო.

„ᲐᲛ ჟამად ᲝᲡმალოებს ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲨᲘ მხოლოთ 12,000 კაცი ჰყავთ; მაგრამ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲔᲚᲔᲑᲡ ის გარემოება ამხნევებს, რომ თითქმის მუდამ დღე ახალ ჯარებს მოელიან, რომელნიც უკვე გამოსულან ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲨᲘ.

„ᲚᲔᲜ. ᲑᲔᲘᲛᲐᲜᲛᲐ წინადადება მისცა მუხთარ-ფაშას ქალაქის დათმობაზე. მუხთარმა ოც-და-ოთხი საათი ვადა ითხოვა და ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ შეატყობინა ეს ამბავი. ᲕᲐᲓᲐ რომ გავიდა, მუხთარმა რუსებს უარი შეუთვალა ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ დათმობაზე. ᲝᲡმალოებმა გადაწყვიტეს, რომ სანამ უკანასკნელი ღონის-ძიება ᲫᲝᲔᲓᲔᲕᲐᲗ, ნებით არ დაუთმონ მტერს ქალაქი. საჭმელ-სასმელი და ყოველ გვარი საომარი მასალები აქ ბლომათა აქვსთ დამზადებული. ᲐᲛ რამდენიმე ღღის განმავალობაში ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ ბედი უნდა გადაწყდეს, რადგან ორივე მოწინააღმდეგენი ახალ ჯარებს მოელიან და მაშინ, უეჭველია, საქმესაც შეუდგებიან.“

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲕᲔᲜᲘᲓᲐᲛ მიღებული დეპეშა გვატყობინებს, აქ დარწმუნებულები არიანო, რომ აიღებენ თუარა რუაები ᲞᲚᲔᲕᲜᲝᲡ, იმწამსვე სულეიმან-ფაშა, რომელიც მიდჰხად-ფაშის ერთგული მომხრეა, თავის ჯარით სტამბოლში დაბრუნდება, გადაყენებს ახლანდელ მმართველობას და ახალ სულთანს (მურადს) და მინისტრებს დააყენებსო.

—

ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲣᲚᲡ გაზეთს „le Temps“-ში იწერებიან ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲠᲓᲐᲛ 13 ნოემბერს:

„ᲔᲠᲗᲛᲐ წარჩინებულმა პირმა, რომელმანც ამ გვარი საქმეები კარგათ უნდა იცოდეს, დამარწმუნა მე, რომ ᲞᲚᲔᲕᲜᲝᲡ და ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ აღების უმალვე ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ და იქნება ᲐᲕᲡᲢᲠᲝ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐᲪ მებრძოლ მხარეებს წინადადებას მისცემენ მორიგებაზედაო; რუსეთი დათანხმდებაო მო-

რიგების თაობაზე დაიწყოს სჯაო, მაგრამ თუ ყველა ის პირობები არ მიიღეს, რასაც ის ითხოვს, ისე არ მოურიგდება მტერს და გაზაფხულზე აქედამ და არზრუმიდამ პირ-და-პირ სტამბოლისაკენ გაგზავნის თავის ჯარებსო.“

ინგლისურ გაზეთს „Daily Telegraph“-ს სწერენ სტამბოლიდამ 15 ნოემბერს:

„ოსმალოს ჯარმა დაცალა ქალაქი ორხანიე. აქ მყოფ ჯარებმა დაიწიეს უკან და გამაგრდნენ ორხანიეს მთასთან, რომელიც უფრო მარჯვე და მოხერხებული ალაგია მტრის დასახვედრად.“

ოფიციალური ტელეგრამმიდამ იცის მკითხველმა, რომ ეს ოსმალოებისაგან დატოვებული ქალაქი შემდეგ რუსის ჯარმა დაიჭირა.

საქართველო

დღიური

*** პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 16 ნოემბერს ვლადიკავკაზიდამ მიღებული:

„დაღესტნიდამ მიღებული ტელეგრამა გვაცნობებს, რომ იქ დაუჭირავთ უმადუევი და იმის შვილი, რომელნიც აჯანყებულ ჩეჩნების მეთაურნი იყვნენ.

„აქ მოვიდა ამას წინათ კერძო ამბავი, რომ აჯანყებული დაღესტნელები გარს-შემორტყმიან ქალაქ ნუხას; ქალაქი ძალიან შიშში იყო; მაგრამ ამ დროს უკნიდამ მოადგა ამას ორი როტა ჩერნომორიის პოლკისა მთის ზარბაზნებით, გააქციეს მტერი და ამ ნაირად დაიხსნეს ქალაქი.“

*** ჩვენი ქალაქის თავი უფ. დ. ი. ყიფიანი იძულებული შექმნილა და უცხადებს იმ ხმოვანებს ქალაქის რჩევისას, რომელნიც სხდომაზე არ დაიარებიან, რომ, თუ შემდეგშიაც არ აასრულეს ამათ ამომრჩეველთ მონდობილობა და ფიცი, რომ ერთგულად ემსახურებიან ქალაქს, მაშინ ის ვალდებულად შერაცხს თავის თავს, რომ გამოაცხადოს საქვეყნოთ ასე დაუდევნელად თავიანთი მოვალეობის აღმასრულებელ ხმოვანთა სახელი და გვარი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. გ. თუმანოვი მომავალი 1878 წლისათვის ქართულ კალენდარს აბეჭვინებს, რომელსაც სახელად „ალმანახი“ ერქმევა და რომელშიაც ჩვეულებრივ კალენდარულ ცნობებს გარდა იქნება აგრეთვე სალიტერატურო ნაწილიც.

*** უფ. ნ. ნიკოლაძე, რომელმანც ამ დღეებში შეადგინა აქ აქციონერების კამპანია რუსული გაზეთის „Обзоръ“-ის გამოსაცემად, უფ. ხელაძის სტამბაში აბეჭდვინებს თავის თხზულებებს, რომელნიც „დროებაში“ და „კრებულში“ იყვნენ დაბეჭდილნი. სულ შვიდი წიგნი იქნება და პირველი, როგორც გავიგეთ, თითქმის სრულიად მზათ არის.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში ყალბი ბილეთები უნახავთ ჩვენს ქალაქში. მთელი კამპანია არისო ქალაქში ამ ბილეთების გამავრცელებელიო. ამბობენ, მთავრობას შეტყობილი აქვს ეს ამბავი და გამოძიება არის დანიშნულიო; ამ საქმის თაობაზე 26 კაცამდინ არის დაჭერილიო.

მომეტებული ნაწილი ამ ყალბი ბილეთებისა თუმნიანები და ოც-და-ხუთ მანეთიანი არის.

დღეს მივიღეთ ჩვენ სიღნაღიდამ წიგნი, რომელშიაც გვწერენ, რომ ეს ყალბი ბილეთები იქაც გამოჩენილა.

„დროების“ კორრესპონდენცია

ლეჩხუმის ხეობიდამ (15 ნოემბერს *).

როგორც მოგეხსენებათ, ეხლა აქ მარხვა გახლავსთ და გახშირებულია ქორწილები, წირვები, ტაბლები, სამღვთოები და ამ გვარი ჩვენი ხალხის დამღუპველი ჩვეულებები. ისეთს წირვას ანუ სამღვთოს რომელი გლეხი გადაიხდის, რომ ათი-თხუთმეტი თუმანი მაინც არ ულირდეს!

ჩვენ პატივცემულ სულიერს მამებს, ჩვენს ქრისტეს დაყენებულ მწყემსებს დიდი ამბები აქვსთ. ესენი არამც თუ არა ცდილობენ ამ ხალხის კეთილ-დღეობის მავნე ჩვეულების ძირიანად აღმოფხვრას, არამედ ყოვლისლონის-ძიებით უმტკიცებენ, რომ ეს ფრიად საჭირო ეკკლესიის წესებიაო გარდაცვალებულის სულის საცხონებლად და ცოცხლების კეთილ-დღეობისათვისაო. მაგრამ გიჟები იქნებიან, რომ დაუშალონ! თქვენმა მზემ, ღვდელ-დიაკვანი ყოველ დღე ისე გაქლენთილები დადიან, რომ რაღა მოგახსენოთ! ეს შემოდგომა სწორეთ სამოთხეა ამ ოტონტორე ღვდლისთვის. დაჯდება, ბატონო, მოიშვებს სარტყელს და ერთი რუმბი მაჭარი რომ დალიოს, მითომ გაძღეს ან მოეკიდოს თუ!... მტრის ოჯახს ოტონტორე ღვდელი! იმის გარდა რაც შინ მიერთმევა ამ სულიერ მამას, დაბრძანდება, ბატონო, ტოლუმბაშათ და რაც წირვაში ანუ სამღვთოში ხალხია (ორმოციდგან ასამდის), მინამ თითონ არ დაითრობა... უკაცრავად, დაითრობა კი არა, ამას რა დაათრობს!.. მინამ ყელში ჩასდის, მინამდინ ასმევს მოპატიჟებულ ხალხსაც. აბა ეხლა იფი-

---

)* „დროება“, № 200.

ფელტონი

თამარ დედოფალი

სახალხო შკოლის საკითხავი *)

თამარ მეფე გიორგის ქალი იყო. გიორგის ამის მეტი სხვა შვილი არა ჰყვანდა. თამარი პატარაობით გაიზარდა თავის მამი-დის, რუსუდანის სახლში.

გიორგი მეფე გარდაიცვალა; ქართველებმა ერთგულათ იგლოვეს და ბევრი ცრემლი დაღვარეს თავის საყვარელ მეფის საფლავზედ. მოიგლოვეს მეფის სიკვდილი, ქართველებმა უმეფობა ვერ გასძლეს.

ამისთვის შვიდი სამეფოს დიდებულნი და მოთავე კაცები შეიკრიბნენ და მოახსენეს რუსუდანს, გამზრდელსა და მამი-დას თამარისას:

„დღეს შენა ხარ თამარის მშობელი; ჩვენ ვიცით, რომ თამარი გონიერებით სრულია და მასთან შენი მორჩილი; უბრძანე, რომ მწუხარება და მამის გლოვა იკმაროს და სამეფო ტახტს, თავის მამის მოსახსენებლათ, ხელი მოჰკიდოს და განაგოს საქართველო ზღვითი-ზღვამდე.“

რუსუდანი შევიდა თამარის სადგომში და გამოუცხადა მას მთხოვნელთ სურვილი. თამარი დათანხმდა და შვიდთავე სამეფოთა აიყვანეს იგი მამა-პაპის ტახტზედ.

იმ დღეს, როდესაც თამარისათვის გვირგვინი უნდა დაელოცნათ, შეიყარნენ თფილისში შვიდის სამეფოს მრავალნი მთავარნი და დიდებულნი, პატრიარქი ეპისკოპოზებით და მღვდლებით, და დალოცეს თამარი; ქუთათელ მთავარ-ეპისკოპოზმა ანტონმა უბოძა მას გვირგვინი; მერე დალოცეს რაჭის ერისთავი კახაბერი და ამან შემოარტყა თამარს ხმალი, რომელიც მოართვეს მოხელეთა და დიდებულთა ვარდანიძემ, სალირისძემ და ამანელიძემან. მერე შეიქნა დიდი ნადიმი, მხიარულობა დაზეიმი

---

*) ეს მოკლე ისტორიული შენიშნვა, როგორც თვითონ ამის ავტორი გვწერს, იბეჭდება სანიმუშოთ; ავტორს ჰსურს შეიტყოს მცოდნე პირების ჰაზრი ამ გვარს ისტორიულს ესკიზებზედ ჩვენს სახალხო შკოლებისათვის. ამ მცოდნე პირებისაგან ავტორი დარიგებას, შენიშვნებს და ჰაზრს მოელის და შემდეგ ისე შეუდგება ამ გვარად, მთელი საქართველოს ისტორიის თუ არა, იმის გამოჩენილ ეპოქებისა და ისტორიულ პირების აღწერას. რედ.

ქრეთ, რამოდენი ხარჯი უნდა მოუვიდეს საცოდავ მასპინძელს!..

ეს სულიერი მამები სადაც კი სასუსნავს შეამჩნევენ, იქ ძალიან მარდნი არიან და სადაც კი არაფერს მოელიან, იქ ფეხსაც არ შესდგამენ. ამას წინეთ ერთი ჭალელი საწყალი ლატაკი გლეხი კაცი შესჩიოდა ბლაღოჩინს, ჩვენმა ღვდელმა ერთი წელიწადია სახლი შემიკრა, აღარც მოსანათლად და არც გასანათლად ფეხი აღარ შემოდგა ჩვენსაო. აღმოჩნდა, რომ ამ საცოდავს გლეხს რაღაც სამღრთო წესის აღსრულების ფული შეუძლებლობის გამო ვერ გადუხდია იმ ღვდლისათვის, იმის გამო შეუკრამს სახლი და ერთი წლის ყმაწვილი უნათლავი დაუგდია. აფსუს ქრისტიანებრივ მოყვასის სიყვარულის მცნებავ, რომ თვით შენი წარმომადგენელი ჩვენი სულიერი მწყემსები თავისვე სამწყემსოს საყვედურად ხმარობენ იარაღად სხვა-და-სხვა საეკლესიო წესებსა!

ამ ზორის და ახალ-ზორის მაწანწალა სომხებმა ხომ ლამის აიკლონ აქაობა. თუ კი ჩაიგდეს სადმე საწყალი გაჭირებული გლეხი, მოეკიდებიან წურბელასავით და მინამ სულ არ გამოსწოვენ, ხელიდგან აღარ გაუშვებენ. ერთმანეთში სამჯერ და ოთხჯერ მომეტებულად ღირებული ნამუშავარი მიაქვსთ ამ საწყლებისაგან. ამათთვის არ არსებობს არც ტაქსა და არც არა სხვა ვითარამე კანონი, რომლითაც ყველა კეთილ-განწყობილ სახელმწიფოში ხელმძღვანელობენ ვაჭრობაში.

უმეცარია ჩვენი საცოდავი, გულ-კეთილი გლეხი და ყველა სარგებლობს ამ უმეცრებით. უმეცარიც რომ არ იყოს, მაინც ვის რას დააკლებს ულონო გლეხი? ვინ არის ამისი ქომაგი, ამის პატრონი!

ამის წინეთ ვიღაც სიმონიძე თრიალეთის მთებიდგან დიდის აღტაცებით სწერდა „თფილისის მოამბეში", რომ ჩვენს ქართულს მონასტერში სომხის სახლობა იყო სალოცავად, ერთმა ამ სახლობის ქალმა მშვენიერად ითამაშო ლეკურიო და, მაშასადამე, სომხებსა და ქართველებ შუა სრული სიყვარული და თანხმობა სუფევსო. თქვენ თქვენის არშინით რათ ზომამთ სხვას!. თქვენ რომ იცნობთ პატიოსანს სომხებს და მათში მეგობრებიცა გყავთ, განა ჩვენ გლეხს უნახავს ეგ შენი პატიოსანი სომხები? ის იცნობს მხოლოდ იმ მაწანწალა ვაჭარს სომხებს, რომელნიც მას სცარცვენ, ყვლეფენ და უკანასკნელ ლუკმა-პურს უწყვეტენ, და ჰგონია, რომ ყველა სომეხი ესეთი შეუწყალებელი მცარცვავ-მყვლეფელიაო, ამიტომ რომ ის მარტო ამათ ხედავს და არ იცის სხვა, პატიოსანი სომხები არიან სადმე, თუ არა. მე., თქვენ და სხვა ჩვენ გვარი მუქთა-მჭამელები კი არ შევადგენთ ხალხს, არამედ ხალხს შეადგენს მშრომელი, მწარმოებელი კლასი, რომელიც შეიცავს საზოგადოთ გლეხს. ეს ხომ კარგათ იცით თქვენ, ეს მაწანწალა ვაჭრები რანაირად სწოვენ გლეხებს; ისიც კარგათ იცით, რომ ამ გარემოებას გლეხები კარგათ ჰგრძნობენ, თუმცა მეტი გზა რომ არა აქვსთ, გაჭირების დროს, ისევ იმათ მონახავენ ხოლმე; მაშასადამე განა წარმოსადგენია ისეთი ხალხი, რომელსაც უყვარდეს თავისი მცარცველი, თავისი სისხლის მწოველი?

ს. მ—ლი

(დასასრული შემდეგ №-ში)

უცხო ქვეყნები

ერთს ფრანცუზულს გაზეთში, რომელსაც ახლანდელ სამინისტროსთან დაახლოებული კავშირი აქვს, გამოცხადებულია, რომ, თუ ნაციონალურმა კრებამ არ დაამტკიცა მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი (შემოსავალ-გასავლის ანგარიში), მარშალი მაკ-მაჰონი მიმართავს სენატს და წინადადებას მისცემს იმასაო, რომ ორში ერთი ამოარჩიოს: ან ის გადადგება რესპუბლიკის პრეზიდენტობისაგან და ან ეს ნაციონალური კრებაც უნდა იქმნეს დათხოვნილიო.

დღევანდელს „დროებაში" მოყვანილის დეპეშიდამ ვტყობულობთ, რომ ნაციონალურ კრებას არ დაუმტკიცებია ბიუჯეტი და, როგორც ბიუჯეტის კომისიის მომხსენებელს — ფერრის გამოუცხადებია, არც დაამტკიცებს იმას, სანამ სამინისტრო პარლამენტის (სენატის ანუ ნაც. კრების) წევრებისაგან არ იქნება შემდგარი. მაშა სადამე ახლა, მაკ-მაჰონის სიტყვისამებრ, ან ნაციონალური კრება უნდა იქმნეს დათხოვნილი და ან თვითონ ის — მაკ-მაჰონი უნდა გადადგეს პრეზიდენტობისაგან.

— პარიჟიდამ უკანასკნელი ფოჩტით მოსული გაზეთები გვატყობინებენ, რომ ვიღაც უცნობს პირებს ამ ქალაქის ქუჩებში აუკრავთ დაბეჭდილი ქაღალდები, რომელშიაც ემუქრებიან და ჰკიცხავენ ახლანდელ სამინისტროსა. ამ პროკლამაციებში გამოცხადებულია თურმე, რომ საფრანგეთს რესპუბლიკა ჰსურს და თუ ახლანდელი ჩვენი პრეზიდენტი და სამინისტრო ხალხის სურვილის წინაალმდეგია, შეუძლიანთ თავი დაგვანებონ

წადგა წინა შვიდი სამეფოს ჯარი და დალოცა თამარ.

ამ დღიდამ თამარმა იწყო გამგეობა საქართველოსი.

ჭეშმევრდომთ ორის თავის მახვილის გონებითა თამარმა დაარჩია ერთგულნი ორგულთაგან და პირველები აღავსო დიდის წყალობითა. "ღონიერი ყვანდა გლახაკნი და ღონიერი მდიდრად."

მთელ შვიდს თემში არავინ გაუშვა უწყალოთ. ყველას სამართალი მიარგინა. სამღვდელოთა თავდაბლათ და მორჩილობით ექცეოდა. პირველსავე დროს თავის ტახტზედ ასვლისა თამარმა მიიახლოვა ამირ-სპასალარი სარგის მხარგრძელი, ახოვანი, მარჯვე და ლაშქარში გამოსული კაცი, და უბოძა იმას სომხეთში ლორის სათავადო და სამთავრო. იმას ებარა ომიანობის დროს ყველა ლაშქრების უფროსობა და ერისთავებზე ბრძანებლობა. ეს იბარებდა ომიანობის დროს ყველა ერისთავებს თავის ჯარებით. დიდი წყალობა მიარგინა ზაქარია და ივანე მხარგრძელის შვილებს; ორნივ ძმები ერთგულნი იყვნენ თამარისა და ლაშქრობაში გამოცდილნი, რჯულით კი სომეხნი. ივანე მხარგრძელი მსწავლული კაცი იყო; იმან დააგდო სომხური რჯული და მოინათლა მმართლმადიდებლად. დიდ გვარიან კაცს ქახაბერ ვარდანიძეს უბოძა მეჭურჭლეთ-უხუცესობა; ამას ებარა მეფის იარაღი, სახლის ჭურჭელი და მთლათ მისი საუნჯე, ე. ი. ხაზინადარი იყო. მსახურთ - უხუცესობა მისცა ვარდან დადიანს; ამას ებარა ციხისა და ქალაქების მცველი ჯარები და ყველანი, ვინც ჯარის ჯაბახანას, ანუ იარაღს უვლიდა. ჩურ-ჩერახობა (მეკუჭნაობა) უბოძა მარუშიანს; ამას ებარნენ მზარეულები, სუფრის გამშლელები, მეპურეები, მგოსანნი და სხ. თორელ გამრეკელს ჩააბარა ამილახვრობა, რომელსაც სარგის მხარ-გრძელის შემდეგ ამირ-სპასალარობა მიენდო; ამას ემორჩილებოდნენ მეჯინიბენი, პაიკნი, ჯოგნი და სხვ. — ერისთაობა და ამილახვრობა უბოძა ბარამ ვარდანიძეს სვანეთში; ქახაბერ ქახაბერიძეს — რაჭაში, დოთალო შარვაშიძეს — აფხაზეთში და სოხუმში ამან ქნეიძეს; ოდიშში — ბედიანს, ქართლში — რატი სურამელს და კახეთში — ბაკურ-უმაძაგნიძეს; ერეთში (საინგილოში) ასათ გრიგოლიძეს, ბოცო ჯაყელი სამცხეში დააყენა.

(გაგრძელება)

და სხვებს, რესპუბლიკელებს, დაუთმონ ალაგიო.

ამავე გაზეთებში იწერებიან, რომ ამ ნოემბრის 15-ს პარიჟის ქუჩებში დაუტუსაღებიათ რამოდენიმე კაცი, რომელნიც მმართებლობის დასამცირებელ სიტყვებს ჰყვიროდნენ და ხმაურობდნენო.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

აევთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათიდან.

ორშაბათს: ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავთმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის, თამამშევი — თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი — შინაგანი ავთმყოფ., ძიუჩარიანცი — ვენერიული ავთმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგან ავთმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფ., ძიუჩარიანცი — ყურის და ხირურგიულ ავთმყოფობისათვის და თამამშევი — თვალის ავთმყოფობისა.

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავთმყოფი ქალებისა და უმაწვილებისა.

ქალის ავთვყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ — დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ — დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დ. მ 12 მდინ — დოქტორი ალბანუსი.

საუმაწვილო ავთმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ დ. კვირაობით 10-დამ 11-მდი — დოქტორი შაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება. რომელშიაც საქალებო ავთმყოფობას არჩენენ, ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავთმყოფთა უნდა აძლიონ დღეში — 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში — 1 მან.

განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

ერევნის მაედანზე, ქალაქის საკუთარს სახლში, უფროსი პოლიციმეისტრის სადგომის ქვეშ, მიეცემა ქირით დუქანი.

დაწვრილებითი პირობების შეტყობა ვისაც ჰსურს, ქალაქის გამგეობაში შეუძლიან მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(3—1)

სასესხებელი

მიეცემა — ფული

იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან, ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პიოველ საათამდინ.

ჩაის მაღაზია

ვ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალავინის პრ.-სპექტზე, შოლეგის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მაედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი

რაჭდენ ბედინიძე

გაკვეთილები

თეორეტიულის და პრაქტიულის

ბუხ-ღალტერიისა

ორ-გვარის ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, საავჭრო, კომისიურის და აგრეთვე სავაჭრო არითმეტიკისა.

ადრესი: ლაბორატორიის ქუჩა, ნამესტნიკის ბაღის პირ-და-პირ, პაროლეის სახლებში, № 14.

მასწავლებელს ქალს ჰსურს აიყვანოს ყმაწვილები მოსამზადებელად პირველის და ზეორის კლასისათვის.

ადრესი: მთაწმინდის ქუჩა, საბინ--ბუსიის სახლებში, № 13.

რკ. გზა.	ტილ.		ალამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბოლი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . .	1	44			4	42	2	46
უვირილ .	5	49			5	81	3	23
რიონი . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი .	—	—			1	18	-	66
სამტრედია .	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
უვირილა . .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბოლი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდან:		
ქუთაისს, ფოთს .	1	—
ბორს, დუშეთს, სილაღურს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამხეთვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ქუთაისს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისის და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. დ. პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		კაპ
და სამზღვარ გარეთ:		
ერთ წიგნის		4
დაბეჭდილია (სამი მისხალი) .		8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 20 გიორ.		
ერთი ინგლისი ლიოს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 252 სანტიმი.	—	62
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	
ბანკის ბილეთი 5%	95	
მოგებიანი (პირ.	21	
მოგებიანი (მეორე სესხი)	15	
ბირაოს ფურცლები:		
ფილ. საზზ. ბანკისა.	»	
ხერსონის ბანკის)	85	25
მოსკოვის (5). . .	85	50
აქციები.		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	–	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკაზის და მერკურის	225	—
პირვ. საზღვაო. ცეცხ.	745	50
პეტერბ. საზღვაო. ს.	235	50
მოსკოვის საზღვაო. ცეცხ.	268	-

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი. 24 გიორგობ		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ჯერ.	2	—
ფქვილი წითელი .	1	80
ქეთი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	20
— ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპუნტილი ბამბა ფუთი.	9	50
მატყლი თუშური ფ.	7	—
— თარაქამისა ფ. .	3	50
აბრეშუმი ნიუბული სტ.	3	--
ძოლი, ფუთი. .	6	80
ძონის სანთელი ფუთი.	10	—
სტეარინის სანთელი, ფ.	15	60
ხოლოცი ქოლოსა. ლიტ.	—	60
— ეგზოსიან, ლიტრა .	—	60
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბოლ. ფუთი .	10	—
— ფინენილი ფუთი .	8	—
ეარ. გოგბალი, ფუთი .	28	—
ბ ოლ. ფუთი	13	—
ოლეთ ½ იმპერიალი. .	8	18

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Ноября 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.